საქართველოს ეროვნული ბანკის გამგეობა

დადგენილება №33

1994 წლის 21 ოქტომბერი

ქ. თბილისი

საქართველოს ეროვნული ბანკის გამგეობის 1994 წლის 28 სექტემბრის №25 დადგენილებით დამტკიცებულ „რწმუნებული ბანკების მიერ ვალუტის გადამცვლელი პუნქტების გახსნისა და მათი მუშაობის შესახებ“ დროებით ინსტრუქციაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ეროვნული ბანკის გამგეობა **ადგენს:**

შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები საქართველოს ეროვნული ბანკის გამგეობის 1994 წლის 28 სექტემბრის №25 დადგენილებით დამტკიცებულ დროებით ინსტრუქციაში „რწმუნებული ბანკების მიერ ვალუტის გადამცვლელი პუნქტების გახსნისა და მათი მუშაობის შესახებ.

- ინსტრუქციის 1.4. პუნქტის პირველ სტრიქონში სიტყვების „პუნქტი წარმოადგენს“ შემდეგ დაემატოს სიტყვა „ბანკის“;

- 1.5. პუნქტის პირველ ქვეპუნქტს დაემატოს სიტყვები „და გაყიდვა“;

- ამავე პუნქტიდან ამოღებულ იქნეს მე-4 პუნქტი;

- 3.1. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3.1. პუნქტში სამუშაოდ დაინიშნებიან ბანკის შტატში რიცხული მუშაკები, რომლებმაც შეისწავლეს უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული მუშაობა“;

- ამოღებულ იქნეს პუნქტი 4.4;

- 4.3 პუნქტის მე-2 აბზაცს მიეკუთვნოს „4.4“;

- პუნქტი 4.9 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4.9. ბანკები ეროვნული ბანკის კურსებზე ორიენტაციით დაადგენენ უცხოური ვალუტის შესყიდვისა და გაყიდვის კურსებს“.

საქართველოს ეროვნული ბანკის

გამგეობის თავმჯდომარე **ნოდარ ჯავახიშვილი**